



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №12

2017 წელი 23 მარტი

ქ.ბათუმი

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში „მტირალა-ყოროლისთავის წყალსადენის მოწყობის (მე-II ეტაპი)“ შესყიდვის ხელშეკრულების დადებაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ნადიმ ვარშანიძეს, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში „მტირალა-ყოროლისთავის წყალსადენის მოწყობის (მე-II ეტაპი)“ შესყიდვის ხელშეკრულების დადებაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე